

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
2018 წლის ბიუჯეტის შესრულების
ანგარიშის შესახებ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის #1 დადგენილებით დამტკიცებული იქნა 2018 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 18 619,0 ათ. ლარით, განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა 16 180,7 ათ. ლარით და განისაზღვრა 34 799,7 ათ.ლარით.

ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიზნების, მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების/ღონისძიებების ერთობლიობას. ანგარიში მოიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახულია როგორც გეგმიური, ისე ფაქტიური მაჩვენებლები, ასევე მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით), ნაშთის ცვლილების, განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაციას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ბიუჯეტის ბალანსი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი							
დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	31290.5	30067.2	10713.6	19353.6	32245.624	9962.7676	22282.856
გადასახადები	5485	6753.1	0	6753.1	9313.7642	0	9313.7642
გრანტები	23661.4	20278.7	10713.6	9565.1	19527.868	9962.7676	9565.1
სხვა შემოსავლები	2144.1	3035.4	0	3035.4	3403.9919	0	3403.9919
ხარჯები	17584.17	18048.112	694.4	17353.712	17426.065	589.958	16836.107
შრომის ანაზღაურება	3535.4	3445.8	0	3445.8	3421.943	0	3421.943
საქონელი და მომსახურება	2321.47	2248.8329	0	2248.8329	2098.289	0	2098.289
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0	0	0	0	0	0	0
პროცენტი	0	0	0	0	0	0	0
სუბსიდიები	9315.6	9763.1791	0	9763.1791	9609.865	0	9609.865
გრანტები	0	0	0	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1202	1075.4	0	1075.4	1003.2696	0	1003.2696
სხვა ხარჯები	1209.7	1514.9	694.4	820.5	1292.698	589.958	702.74

საოპერაციო სალდო	13706.33	12019.088	10019.2	1999.888	14819.559	9372.8096	5446.7494
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10975.7	16491.7	11248	5243.7	11832.002	8226.867	3605.1347
ზრდა	12294	16741.7	11248	5493.7	11939.597	8226.867	3712.73
კლება	1318.3	250	0	250	107.59535	0	107.59535
მთლიანი სალდო	2730.63	-4472.612	-1228.8	-3243.812	2987.5574	1145.9426	1841.6148
ფინანსური აქტივების ცვლილება	-26.7	-4482.612	-1228.8	-3253.812	2981.6594	1145.9426	1835.7168
ზრდა	0	0	0	0	2981.6594	1145.9426	1835.7168
ვალუტა და დეპოზიტები		0			2981.6594	1145.9426	1835.7168
კლება	26.7	4482.612	1228.8	3253.812	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	26.7	4482.612	1228.8	3253.812	0		
ბალანსი	0	0	0	0	0	0	0

ბიუჯეტის შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 30 317,2 ათ. ლარი, ფაქტიურად 32 353,2 ათ. ლარით შესრულდა, რაც გეგმის 106,7%.

I. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 9 313,8 ათ. ლარი, დაზუსტებული წლიური გეგმის 6 753,1 ათ. ლარის 137,9 %.

საშემოსავლო გადასახადი - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1 386,3 ათ. ლარი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 1 350,0 ათ. ლარის 102,7%,

ქონების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 7 927,5 ათ. ლარის შემოსავალი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 5 403,1 ათ. ლარის 146,7 % .

II. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 19 527,9 ათ. ლარი, მათ შორის:

ა) გათანაბრებითი ტრანსფერი - 9301,0 ათ. ლარი;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 253,0 ათ.ლარი;

გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 7 339,3 ათ. ლარი;

დ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად - 263,1 ათ. ლარი;

ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები - 2 360,4 ათ. ლარი;

ვ)საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 11,1 ათ. ლარი

III. სხვა შემოსავლები

2018 წლის დამტკიცებული წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 3 035,4 ათ.ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ 3 404,0 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 112,14 %-ია, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 0,7 ათ.ლარი;

რენტის სახით ბიუჯეტში ფაქტიურად 737,4 ათ. ლარი შემოვიდა, რაც გეგმის 575,0 ათ.ლარის 128,24 %-ია.

ადმინისტრაციული მოსაკრებლიდან და გადასახადებიდან მიღებულია 1 166,2 ათ. ლარი, რომელმაც გეგმის 1230,4 ათ. ლარის 94,78 % შეადგინა, აქედან:

– სანებართვო მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 50,1 ათ.ლარი, რაც გეგმის 110,0 ათ.ლარის 45,54 %-ია;

– დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 174,5 ათ.ლარი, რაც გეგმის 150,0 ათ.ლარის 116,33 %-ია;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 34,7 ათ ლარი, რაც გეგმის 10,0 ათ. ლარი 347 % შეადგენს.

შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 1 123,2 ათ. ლარი შეადგინა რაც გეგმის 900,0 ათ. ლარი 124,8 % შეადგენს.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 341,7 ათ.ლარი, რაც გეგმის 320,0 ათ. ლარის 106,78 %-ია;

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტში ჩარიცხულია 107,6 ათ. ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (250,0 ათ. ლარი) 43.04 %-ია, მათ შორის: 34,5 ათ. ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან (შემოსულობა შენობებისა და ნაგებობების გაყიდვებიდან), ხოლო 73,1 ათ. ლარი არაწარმოებული აქტივების გაყიდვებიდან (მიწის გაყიდვიდან).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 34 799,7 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 29 371,6 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84,4 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა განისაზღვრა 18 051.6 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 17 795,3 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,58 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 16 748,2 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11 872,2 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70,88 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

„შრომის ანაზღაურების“ – მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 3 445,8 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 3 421,9 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,3 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ – მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 2 248,8 ათ. ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2098,3 ათ. ლარი, რაც გეგმის 93,3 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ – მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 9 756,7

ათ. ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 9616,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 98,56 %-ს.

სუბსიდიების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- მუნიციპალური ტრანსპორტი;
- კომუნალური მომსახურების დაფინანსება;
- წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება;
- სპორტული ონიექტების დაფინანსება;
- კულტურის ობიექტების დაფინანსება;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;
- ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა;
- სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება;
- მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება;
- ხანდაზმულთა სახლისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა;

„სოციალური უზრუნველყოფის“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1075,4 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1003,3 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93,3 %-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა;
- დედ-მამით ობოლი 18-წლამდე ბავშვების დახმარების პროგრამა;
- მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა;
- „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა;
- თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარების პროგრამა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება;
- სარიტუალო დახმარება;
- სოციალური ღონისძიებები;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება;
- სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი;
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა;
- უზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება;
- სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება;

„სხვა ხარჯების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა







1 514,9 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 353,3 ათ. ლარის მოცულობით, რაც გეგმის 89,33 %-ს.


სხვა ხარჯების მუხლიდან ფინანსდება ისეთი სამუშაოები, რომელთა შედეგად შექნილი აქტივები არ აისახება მუნიციპალიტეტის ბალანსზე, კერძოდ: საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სამშენებლო მასალების შესყიდვა მოსახლეობისთვის გადაცემის მიზნით, კანალიზაციის და წყალმომარაგების ქსელების შეკეთება.

სხვა ხარჯების მუხლიდან ასევე, დაფინანსებული იქნა:

- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირის უზრუნველყოფა.
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება.
- ბინათმშენებლობა

2018 წლის ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში პრიორიტეტების მიხედვით

	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს დაფინანსება	16.02%
	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.50%
	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	54.29%
	განათლება	12.56%
	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	11.83%
	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.80%



1. 01 00 - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (გეგმა - 4864,3 ათ. ლარი, შესრულება - 4705,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 96,72 %-ია);
2. 02 00 - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (გეგმა - 148,0 ათ. ლარი, შესრულება - 148,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100 %-ია);
3. 03 00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (გეგმა - 20509,8 ათ. ლარი, შესრულება - 15945,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 77,74 %-ია);
4. 04 00 - განათლება (გეგმა - 3988,1 ათ. ლარი, შესრულება - 3688,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 92,49 %-ია);
5. 05 00 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (გეგმა - 3674,6 ათ. ლარი, შესრულება - 3474,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 94,54 %-ია);
6. 06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (გეგმა - 1615,0 ათ. ლარი, შესრულება - 1410,8 ათ. ლარი, რაც გეგმის 87,4%-ია).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,322.7	4,864.3	0.0	4,864.3	4,705.0	0.0	4,705.0
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4,995.1	4,654.3	0.0	4,654.3	4,574.7	0.0	4,574.7
7011 1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,566.5	4,304.3	0.0	4,304.3	4,228.4	0.0	4,228.4
7011 2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	428.6	350.0	0.0	350.0	346.4	0.0	346.4
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	124.6	0.0	0.0	0.0	1.5	0.0	1.5
7013 3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	124.6	0.0	0.0	0.0	1.5	0.0	1.5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	203.0	210.0	0.0	210.0	128.7	0.0	128.7
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	221.3	148.0	0.0	148.0	148.0	0.0	148.0

7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	166.7	148.0	0.0	148.0	148.0	0.0	148.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	54.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4,577.0	4,930.0	3,822.0	1,108.0	2,582.3	1,513.3	1,068.9
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	133.0	0.5	0.0	0.5	0.4	0.0	0.4
7041 1	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	133.0	0.5	0.0	0.5	0.4	0.0	0.4
7045	ტრანსპორტი	2,917.0	654.9	57.4	597.5	558.5	0.0	558.5
7045 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,917.0	654.9	57.4	597.5	558.5	0.0	558.5
7049	სხვა არაკლასიფიცირებულ ი საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,527.0	4,274.6	3,764.6	510.0	2,023.3	1,513.3	510.0
705	გარემოს დაცვა	1,381.9	15.1	5.1	10.0	4.2	0.0	4.2
7056	სხვა არაკლასიფიცირებულ ი საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1,381.9	15.1	5.1	10.0	4.2	0.0	4.2
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	10,244. 2	15,564. 7	7,852.2	7,712.5	13,358. 8	7,303.5	6,055.3
7061	ბინათმშენებლობა	2,114.2	2,134.5	0.0	2,134.5	2,114.2	0.0	2,114.2
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	7,436.1	11,565. 2	7,852.2	3,713.0	9,855.7	7,303.5	2,552.2
7063	წყალმომარაგება	470.6	590.0	0.0	590.0	547.2	0.0	547.2

7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	223.3	1,275.0	0.0	1,275.0	841.7	0.0	841.7
707	ჯანმრთელობის დაცვა	160.9	115.2	0.0	115.2	98.0	0.0	98.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	160.9	115.2	0.0	115.2	98.0	0.0	98.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,654.0	3,674.6	0.0	3,674.6	3,474.0	0.0	3,474.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	966.6	1,267.5	0.0	1,267.5	1,260.4	0.0	1,260.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2,575.2	2,176.0	0.0	2,176.0	2,036.2	0.0	2,036.2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	112.2	231.1	0.0	231.1	177.3	0.0	177.3
709	განათლება	3,035.1	3,988.1	263.1	3,725.0	3,688.6	0.0	3,688.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,907.0	3,600.0	0.0	3,600.0	3,579.5	0.0	3,579.5
7092	ზოგადი განათლება	128.1	388.1	263.1	125.0	109.1	0.0	109.1
7092 3	საშუალო ზოგადი განათლება	128.1	388.1	263.1	125.0	109.1	0.0	109.1
710	სოციალური დაცვა	1,282.4	1,499.8	0.0	1,499.8	1,312.8	0.0	1,312.8
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	130.9	139.9	0.0	139.9	125.2	0.0	125.2
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	870.4	853.0	0.0	853.0	763.4	0.0	763.4

7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	281.1	506.9	0.0	506.9	424.2	0.0	424.2
	სულ	29,879.5	34,799.8	11,942.4	22,857.4	29,371.6	8,816.8	20,554.7

2018 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების მიხედვით გაწეული ხარჯების ანალიზი, მიღებული შედეგები და შეფასების ინდიკატორები

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების

დაფინანსება

(ორგანიზაციული კოდი - 01 00)

01 01 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით გამოეყო 1 116,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 1096,1ათ. ლარი, რაც გეგმის 98,21 %-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 830,4 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 829.0 ათ. ლარს, რაც გეგმის 99,83%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 805,6 ათ. ლარი; დანამატი - საკასო ხარჯი 23,4 ათ. ლარი;

საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმა განისაზღვრა – 275,6 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 267,1 ათ. ლარი, რაც გეგმის 96,91 %, მათ შორის:

ოფისის ხარჯის დაზუსტებული გეგმა - 24,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა – 20,8 ათ. ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განისაზღვრა 10,0 ათ.ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 0,0 ათ.ლარი;

01 02 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია 2018 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3188,3 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 3132,3 ათ. ლარი, რაც გეგმის 98,24 %-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 2494,2 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 2473,2 ათ. ლარს, რაც გეგმის 99,15 %-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 2364,6 ათ. ლარი; დანამატი - საკასო ხარჯი 108,6 ათ. ლარი;

საქონელი და მომსახურების ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 570,1 ათ. ლარით:

არაფინანსური აქტივების ზრდა დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 152,2 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 46,3 ათ. ოდენობით, რაც გეგმის 30,42 %-ია. შეძენილ იქნა საოფისე ტექნიკა,

ვიდეო აპარატურა.

სარეზერვო ფონდი

2018 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 350,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 346,4 ათ. ლარი, მათ შორის:

- სააფთიაქო დაწესებულებებში მოქალაქეებისთვის მედიკამენტების შეძენის მიზნით 273 ადამიანს, თანხით - 48,6 ათ. ლარი;
- სამედიცინო დაწესებულებებში გაწეული მომსახურების საფასური 479 ადამიანს - 193,3 ათ. ლარი;
- სარიტუალო ხარჯებისთვის დაფინანსდა 77 ადამიანი - 23,2 ათ. ლარი;
- განათლების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებები - 6,1 ათ. ლარი;
- დაბა ნარუჯაში სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 22,7 ათ.ლარი;
- დახმარების გაწევის მიზნით მოქალაქეთა დახმარება, 222 ადამიანი - 48,7
- სხვადასხვა სოციალური მხარდაჭერა - 3,8

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი

აღნიშნული მიმართულებით 2018 წელს გამოყოფილი იქნა 210,0 ათ. ლარი, ხოლო ხარჯებმა შეადგინა 128,7 ათ. გადახდილია მუნიციპალური განვითარების ფონდის მრავალწლიანი სესხის ნაწილი.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (ორგანიზაციული კოდი - 02 00)

02 02 - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

2018 წლის გეგმა - 148,0 ლარი, საკასო ხარჯი - 148,0 ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაზუსტებული გეგმა შეადგენს 121,2 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 119,7 ათ. ლარს,

საქონელი და მომსახურების საკასო შესრულებამ შეადგინა - 28,2 ათ. ლარი.

მიღწეული საბოლოო შედეგი: 2018 წლის გამწვევ კომისიაზე სულ გამოძახებული იქნა **1880** წვევამდელი.

ჩატარდა 38 გამწვევი კომისიის სხდომა . სხდომაზე გამოცხადდა **729** წვევამდელი;

2018 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული იქნა **108** წვევამდელი

მათ შორის:

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო სავალდებულო სამსახურში-38წვევამდელი;
- 2.იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამხედრო სამსახურში-25წვევამდელი;

3.თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში- 45 წევრამდელი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
(ორგანიზაციული კოდი - 03 00)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისათვის და ექსპლუატაციისთვის გასაწევი ხარჯი დაიგეგმა 20509,8 ათ. ლარის ოდენობით.

საკასო ხარჯმა შეადგინა - 15945,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 77,74 %-ია, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საკუთარი ბიუჯეტით 2018 წელს დაგეგმილი იყო 557,4 ათ. ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება, საკასო ხარჯმა შეადგინა - 461,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 82,7 %-ია

მიღწეული შედეგი: 2018 წელს მუნიციპალიტეტში სულ შეძენილი იქნა 2746 კუბ.მ მზა (მ-300 მარკი) ბეტონი და 21636 კვ.მ მავთულბადე, რითაც სულ მოხდა 8094 გრძ.მ ბეტონის გზის დაგება შემდეგ სოფლებში:

1. დაბა ნარუჯაში-540 გრძ.მ
2. ბაილეთი-340 გრძ.მ
3. ბახვი-600 გრძ.მ
4. გურიანთა-200 გრძ.მ
5. ვაკიჯვარი-300 გრძ.მ
6. თხინვალი-1780 გრძ.მ
7. კონჭკათი-340 გრძ.მ
8. ნატანები -150 გრძ.მ
9. მაკვანეთი-650 გრძ.მ
10. მერია-300 გრძ.მ
11. მთისპირი-340 გრძ.მ
12. ცხემლისხიდი-300 გრძ.მ
13. ჭანიეთი-380გრძ.მ
14. შრომა-575გრძ.მ
15. დაბა ნასაკირალი-200გრძ.მ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწარმო შ.პ.ს., მუნიციპალური ტრანსპორტი" -ს ბიუჯეტი 2018 წელს დაგეგმილი იყო 97500 ლარით, რომელიც სრულად იქნა ათვისებული.

მიღწეული შედეგი: მუნიციპალიტეტში შემავალი 3 დაბისა და რამდენიმე სოფლის მოსახლეობის ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიისა და პედაგოგების მგზავრობის უფასოდ გადაყვანა.

ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური მომსახურების ცენტრის ბიუჯეტი 2018 წელს დაგეგმილი იყო 2134,5 ათ. ლარით, ფაქტიურად იქნა ათვისებული 2114,2 ათ. ლარი.

მიღწეული შედეგი: მომსახურების ცენტრის მიერ მოხდა 1239 სანაგვე ბუნკერის მოვლა, ექსპლოატაცია. ნაგავსაყრელზე გატანილია ნარჩენები (სულ 13627 ტ). აღნიშნული ნარჩენების გატანას ემსახურება 8 ერთეული ნაგავზიდი და 6 ტრაქტორი. გეგმიურათ ხდება ბუნკერებისა და სანაგვე ურნების დეზინფექცია. ყოველდღიურად იგვება ქალაქის, სოფლების და ზღვის სანაპირო ზოლის ტერიტორია(დაბა ურეკი და შეკვეთილი)

გარე განათების განყოფილების მიერ შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები:შეცვლილია განათების სანათი - 226 ც , ელ ვაზნა - 589 ც , ელ ნათურა - 10622 ც,იგნიტორი - 313 ც , დროსელი სპილემის - 474 ცალი , ელ სადენი - 10730 მეტრი, ფოტო რელე - 252 ცალი, მაგნიტური გამშვები - 110 ც, მრიცხველი - 12 ც , გამჭოლი იზოლატორი - 2 ც, ავტომატური ამომრთველი - 163 ც, გამანაწილებელი რეგულატორი - 19 ც , ბუნიკი -1602 ც , კაბელის სამაგრი - 400 ც , ტრანსფორმატორის გამთიშველი - 3 ც , ტრანსფორმატორის შტირი - 2 ც, სიპჩამჭერი - 534 ც, პრეექტორი - 1 ც , კრონშტეინი - 102 ც, ბრტყელტყჩა - 24 ც, საიზოლაციო ლენტა - 59 ც, სახრახნისი - 24 ც , ელმრიცხველის ყუთი - 32 ც , ჭანჭიკი - 58 კგ , საკანცელარიო დანა - 4 ც , საჭრელი დისკო - 6 ც , სილიკონი - 2 ც.

გამწვანების განყოფილების მიერ 2018 წელს შესრულებული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები : მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოჭრილი და საშეშე მერქნათ დამუშავებული იქნა 287 (კუბური მეტრი) ამორტიზირებული და სტიქის შედეგად ძირზე მოთხრილი ხეები, გაცეილი იქნა ეკალ ბარდისგან და სარეველა ბალახებიდან 157 ჰ , დაიბელა 240 ერთეული ხე მცენარე , შეთეთრდა 3000 ერთეული ხე .

უემთვალყურეოდ დარჩენილი შინაური ცხოველების განყოფილების მიერ 2018 წელში შესრულებული სამუშაოები: თავშესაფარში გადაყვანილი იქნა 633 სული მაწანწალა ძაღლები, რომლებსაც ჩაუტარდა კასტრაცია და სტერილიზაცია. ყურის კლიპის მეშვეობით ჩაუტარდა იდენტიფიკაცია. აღებულია კატის და ძაღლის 16 ცალი ლეში.ქალაქის ტერიტორიაზე დაჭერილი და იზოლირებული იქნა 33 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

მობილური ჯგუფის მიერ 2018 წელში შესრულებული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები: მდინარეების სკუჩის და ნაბჟუარას არხების ინტესიური დასუფთავება. ქალაქის ქუჩების, შემომავალი გზების, აღმამენებლის ქუჩის და გმირთა მოედნის მიმდებარედ არსებული ბაზრის წყლის ნაპირების გაცეღვა და დასუფთავება.

შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული სანიტარულ-ჰიგიენური გარემო მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ინფრასტრუქტურის სამუშაოების განხორციელების მიზნით ბიუჯეტი 2018 წელს დაგეგმილი იყო 11565,2 ათ. ლარით, ფაქტიურად იქნა ათვისებული 9855,7 ათ. ლარი.გეგმის 85,21 %.

მიღწეული შედეგი: საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებით სულ გათვალისწინებული იყო 13 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, მათ შორის 2 გარდამავალი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 2018 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა **9076735** ლარი მ/შ ფონდიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს **7 379 088** ლარი, რომლითაც განხორციელდა :

1. სოფ.ბოხვაური-სოფ.შემოქმედის დამაკავშირებელი გზის-1340 გრძ.მ ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის (სახელშეკრულებლო ღირებულება 494214,84 ლარი).მათ შორის რეგ.ფონდის ნაწილი 355835 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 138379,84 ლარი.

2. სოფ. ვაკიჯვარი (ფამფალეთი)-სოფ.მთისპირის საავტომობილო გზა-1755გრძ.მ (სახელშეკრულებლო ღირებულება 865902,84 ლარი). მათ შორის რეგ.ფონდის ნაწილი 623450 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 242452,84 ლარი.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების წითელმთა-მაკვანეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია -0,4470 გრძ.მ (სახელშეკრულებლო ღირებულება 200342 ლარი) მათ შორის რეგ.ფონდის ნაწილი 144 246 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 56096 ლარი.

5. ნასაკირალი-მელექედურის გზა 3485 გრძ.მ (სახელშეკრულებლო ღირებულებით 662010,77 ლარი). მათ შორის რეგ.ფონდის ნაწილი 476648 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 185362,77 ლარი.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ.სილაურის ცენტრიდან ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას მიმართულებით 2767 გრძ.მ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით **843510** ლარი).მათ შორის რეგ.ფონდის ნაწილი 607327 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 236183 ლარი.

7. სოფ.ჭანიეთის ცენტრის გავლით სოფ.ქაქუთის დასაწყისამდე გზის რეაბილიტაცია-1979 გრძ.მ. (სახელშეკრულებლო ღირებულებით 813299,21 ლარი).მათ შორის რეგ.ფონდის ნაწილი 585575 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 227724,21 ლარი.

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედის ცენტრი-გორისფერდის საავტომობილო გზის პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები -1430 გრძ.მ (სახელშეკრულებლო ღირებულებით **420238,8** ლარი), ლარი). მათ შორის რეგ.ფონდის ნაწილი 302572 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 117666,8 ლარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს N1621 საქართველოს მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს დამატებით აღნიშნული სამუშაოების მეორე ეტაპისათვის გამოეყო 1337934 ლარი, რომელიც

9. **ჭანიეთი-ქაქუთისა (2026 გრძ.მ (სახელშეკრულებლო ღირებულებით 750000 ლარი) და სოფ. შემოქმედის ცენტრი-გორისფერდის (1530 გრძ.მ-სახელშეკრულებლო ღირებულებით 527016 ლარი),**

10. ასევე მომზადდა ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ქუჩების (გორკის,ლანჩხუთის,ინგორყვას,შევარდნაძის, ჯორჯიაშვილის, წმ.

გიორგის, სანაპიროს, გიორგამის, ყაზბეგის-საერთო სიგრძით 7732 გრძ.მ (ღირებულებით 343600 ლარი),

11. ასევე განხორციელდა სოფელ ნატანებში(შეკვეთილი) შიდა გზის რეაბილიტაცია დაიგო 830 გრძ.მ ბეტონის საფარი, ასევე პროექტი მოიცავს გარე განათებისა და ტროტუარების მოწყობას (სახელშეკრულებო ღირებულებით 592350 ლარი), მათ შორის რეგ.ფონდის ნაწილი 533116 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 59239 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა ქალაქ ოზურგეთში, გრიბოდოვის ქუჩის პირველ შესახვევში ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 81926,85 ლარი).

შესწავლილი იქნა ნაწილობრივ დაზიანებული ასფალტობეტონის საფარიანი ქუჩების სავალი ნაწილის მდგომარეობა (სახელშეკრულებლო ღირებულებით 44759 ლარი)

ელექტროენერჯის ხარჯი გეგმა - 590,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 547,2ათ. ლარი, რაც გეგმის 92,74 %-ია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 4400 სანათი მოწყობილობის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობებში მოხმარებული ელ.ენერჯის ხარჯის გაწევა. კმაყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - შ.პ.ს.,სატისი” გეგმა - 430,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 430,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

მიღწეული საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება მთისპირი-ასკანის, ლაითურის, ნასაკირალისა, ლიხაურისა და ჯუმათის წყალმომარეგების სისტემები, რომელთა აღდგენა-რეაბილიტაცია და მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შ.პ.ს.სატისი.

შეფასების ინდიკატორი: ლაბორატორიულად შემოწმებული და ხარისხიანი მიწოდებული სასმელი წყალი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მიზნით ბიუჯეტი 2018 წელს დაგეგმილი იყო 15,1 ათ. ლარით, ფაქტიურად იქნა ათვისებული 4,2 ათ. ლარი.გეგმის 27,8 %.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა 2018 წელს დაგეგმილი იყო 600,0 ათ. ლარით, ფაქტიურად იქნა ათვისებული 344,0 ათ. ლარი.გეგმის 57,33 %.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

შესრულდა შემდეგი საპროექტო სამუშაოები შემდეგი საპროექტო ღირებულებებით:

* სოფელ ოზურგეთის ტერიტორიაზე კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები

(1 449 988,22 ლარი)

* ქალაქ ოზურგეთში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციადა (75000 ლარი);

* სოფელ ცხემლისიხიდი-სოფ.ვაკიჯვრის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1662 გრმ.მ (830747,85 ლარი).

* მომზადდა დაბა ნარუჯის გავლით, დაბა ლაითურის ცენტრთან დამაკავშირებელი საავტომობილო 7280 გრმ.მ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (ღირებულებით 3596122,06 ლარი), რომელზეც მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარე წლის 15 მარტს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT190000019)

